



არაოფიციალური თარგმანი

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
საქართველო – ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები
2017 წლის 21 ოქტომბერი

მოხსენება წინასწარი მიგნებების და დასკვნების შესახებ

წინასწარი დასკვნები

21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ფუნდამენტური თავისუფლებები ძირითადად დაცული იყო და კანდიდატებს წინასაარჩევნო კამპანიის თავისუფლად ჩატარების შესაძლებლობა ჰქონდათ. არჩევნების ეფექტურმა ადმინისტრირებამ და ამომრჩეველთა ზუსტმა რეგისტრაციამ პროცესის ხარისხიანად წარმართვას შეუწყო ხელი. მთლიანობაში არჩევნების კონტექსტი მმართველი პარტიის უპირატესობით გამოიხატა. ადგილი ჰქონდა როგორც ამომრჩევლებზე, ასევე კანდიდატებზე ზეწოლის ფაქტებს და რამდენიმე ძალადობრივ ინციდენტს. მიუხედავად იმისა, რომ მედია საშუალებები სხვადასხვა პარტიებთან აფილირდებოდნენ, მედიის მზარდმა თავისუფლებამ და აქტიურობამ პოლიტიკური დებატების ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. მთლიანობაში კენჭისყრის დღემ მოწესრიგებულად ჩაიარა, თუმცა ხმების დათვლის დროს მცირე პროცედურული ხასიათის დარღვევები დაფიქსირდა.

საკანონმდებლო ჩარჩო ყოვლისმომცველია და სათანადო საფუძველს ქმნის არჩევნების დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად ჩასატარებლად. თუმცა კვლავ სახეზეა ამომრჩეველთა და კანდიდატთა უფლებების შეზღუდვის ფაქტები, ისევე როგორც შეუსაბამობები და ნაკლოვანებები. 2017 წლის ივლისში განხორციელებული ცვლილებები ძირითადად ტექნიკური ხასიათის იყო და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ევროპის საბჭოს მთავარ რეკომენდაციებს არ ითვალისწინებდა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკოს) ხელმძღვანელობით საარჩევნო ადმინისტრაცია დროულად, ეფექტურად და პროფესიონალურად მუშაობდა. მართალია, ცესკო ზოგადად დაინტერესებული მხარეების ნდობით სარგებლობდა, მაგრამ ზოგიერთმა ოპოზიციურმა კანდიდატმა საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობა ეჭვის ქვეშ დააყენა, განსაკუთრებით საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნის კუთხით. ცესკოს სწავლების ცენტრმა საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე საინფორმაციო ტრენინგები ჩაატარა. ცესკომ

ამომრჩეველთა ინფორმირების ყოვლისმომცველი კამპანია აწარმოა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად გარკვეული ნაბიჯები გადადგა.

ხელისუფლებამ ამომრჩეველთა სიების გასაუმჯობესებლად სამაგალითო ძალისხმევა გასწია. დაინტერესებული მხარეები ზოგადად ნდობას გამოხატავენ სიების სიზუსტესთან და ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებით. ამომრჩეველებს საკუთარი რეგისტრაციის გადამოწმებისა და შესწორების საკმარისი შესაძლებლობა ჰქონდათ. საარჩევნო კოდექსში ბოლო დროს შეტანილი ცვლილებების შედეგად 5,014 ამომრჩეველს რეგისტრაციის თავიდან გავლის შესაძლებლობა მიეცა. გარდა ამისა, არჩევნებში მონაწილეობისათვის იძულებით გადაადგილებულ პირთა მოწმობების გამოყენება აღარ არის სავალდებულო. თუმცა დაახლოებით 1,800 ამომრჩეველს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჩამოერთვა, რაც სახელმწიფო რეესტრში მათი ფოტოების ცუდი ხარისხით ან ფოტოების არარსებობით იყო გამოწვეული.

ცესკომ და საოლქო საარჩევნო კომისიებმა პროპორციული არჩევნებისთვის 27 პარტიისა და ბლოკის მიერ წარმოდგენილი 591 სია, 369 მერობის კანდიდატი და 4,727 მაჟორიტარობის კანდიდატი დაარეგისტრირა. რეგისტრაციის პროცესი მხარეთა ჩართულობით და გამჭვირვალედ ჩატარდა. საქართველოში ორი წლის განმავლობაში ცხოვრების მოთხოვნის საარჩევნო კოდექსიდან ბოლო დროს ამოღებამ კანდიდატთა რეგისტრაციის პროცესის ჩართულობას შეუწყო ხელი. ქალი კანდიდატები უმეტესწილად არასაკმარისად იყვნენ წარმოდგენილნი. საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად მერის არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა დამოუკიდებელ კანდიდატებსაც მიეცათ. რამოდენიმე სუბიექტმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნა, რაც, გავრცელებული ინფორმაციით, ზოგიერთი მათგანის შემთხვევაში ზეწოლით იყო გამოწვეული.

თბილისის გარეთ წინასაარჩევნო კამპანია მთლიანობაში ნაკლები აქტიურობით გამოირჩეოდა და რამდენიმე ძალადობრივი ინციდენტის მიუხედავად, იგი ძირითადად მშვიდ ვითარებაში წარიმართა. მართალია, ფუნდამენტური თავისუფლებები ზოგადად დაცული იყო და არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს წინასაარჩევნო კამპანიის თავისუფლად წარმოების შესაძლებლობა ჰქონდათ, არჩევნებზე სერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ მმართველი პარტიის მხარდაჭერის მიზნით საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებზე ზეწოლის ფაქტები დააფიქსირა, რაც ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს ეწინააღმდეგება. ასევე გავრცელდა ინფორმაცია ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენების შესახებ.

არჩევნებში მონაწილე სუბიექტების სასარგებლოდ გაკეთებულ შემოწირულობებს შორის მნიშვნელოვანმა სხვაობამ თამაშის თანაბარი პირობები დაარღვია. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, რომელსაც წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების ზედამხედველობა ევალებოდა, პროფესიონალურად იმუშავა. თუმცა ფინანსური ანგარიშების შემოწმების და არჩევნების დღემდე დასკვნების გამოქვეყნების საბოლოო ვადების არარსებობის გამო წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობა შეზღუდული იყო. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) რეკომენდაციების უმრავლესობა ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული.

მედიის თავისუფლების კუთხით შესამჩნევი გაუმჯობესება შეინიშნება, თუმცა სამაუწყებლო მედია საშუალებები პოლარიზებულია და ისინი პოლიტიკურად ასოცირებულად აღიქმება. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მედია მონიტორინგმა აჩვენა, რომ მედიის ძირითადი ნაწილი არჩევნებში მონაწილე მთავარ სუბიექტებზე აკეთებდა აქცენტს. საკუთარი გზავნილების გადასაცემად მედია მათ მრავალ შესაძლებლობას სთავაზობდა, მათ შორის, დებატების, თოქ-შოუების და რეკლამების სახით, რაც ამომრჩევლებს ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალებას აძლევდა. საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი ამბების გამოშვებებში არჩევნები კრიტიკული და ანალიტიკური კუთხით არ შუქდებოდა, ყველაზე პოპულარული მაუწყებლების „იმედისა“ და „რუსთავი 2“-ის მიდგომები წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან და კონკრეტული პოლიტიკური მხარის სასარგებლოდ იხრებოდა.

საარჩევნო დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩო რთული და ზედმეტად შემზღუდავია. არჩევნების დღემდე საჩივრების შედარებით მცირე რაოდენობა დაფიქსირდა. ცესკოს სხდომებზე საჩივრების განხილვა ღიად და ცესკოს წევრთა ჩართულობით მიმდინარეობდა, კანონით გათვალისწინებული ნორმების დაცვით. თუმცა, საჩივრების შეტანის უფლებებთან დაკავშირებული გარკვეული შეზღუდვები საერთაშორისო ვალდებულებებს და რეკომენდებულ პრაქტიკას ეწინააღმდეგება. კანონი არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული სანქციების მოთხოვნის შესახებ საჩივრების დაჩქარებული წესით განხილვას, რაც დარღვევებზე რეაგირების ეფექტურობას მნიშვნელოვნად ამცირებს.

მხარეთა მონაწილეობის ფარგლებში ცესკომ 30 საერთაშორისო და 71 ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის აკრედიტაცია მოახდინა. საარჩევნო პროცესის ყველა ეტაპზე მრავალრიცხოვანი დამკვირვებლების და არჩევნებში მონაწილე სუბიექტების წარმომადგენელთა მონაწილეობამ არჩევნების გამჭვირვალობას შეუწყო ხელი.

არჩევნების დღეს ორმა ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა ხმების პარალელურად დათვლა განახორციელა.

არჩევნებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი 1,200-ზე მეტი კანდიდატი მონაწილეობდა, ისინი ძირითადად ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში იყრიდნენ კენჭს; მათ 24%-ს ქალები შეადგენდნენ. სიმულვილის ენის, მუქარის და დამაბულობის რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა. საარჩევნო ადმინისტრაციამ ბიულეტენები და ამომრჩევლებისთვის საჭირო ინფორმაცია ეროვნული უმცირესობების ენებზე უზრუნველყო, გარდა ამისა, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგები ეროვნული უმცირესობების ენებზე ჩაატარა

თითქმის ყველა საარჩევნო უბანზე საარჩევნო უბნების გახსნის და ხმის მიცემის პროცესი კარგად ან ძალიან კარგად შეფასდა იმის მიუხედავად, რომ ამომრჩევლებზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობები დაფიქსირდა, მათ შორის, იმ ამომრჩეველთა აღრიცხვა, რომელთაც საარჩევნო უბნებზე ხმა უკვე მისცეს. ხმების დათვლის პროცესი მონიტორინგს დაქვემდებარებული 71 საარჩევნო უბნიდან 11-ში უარყოფითად შეფასდა, რადგან გარკვეულ პროცედურულ დარღვევებს და ზოგიერთ უბანზე კომისიების მხრიდან შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენასთან დაკავშირებულ სირთულეებს ჰქონდა ადგილი. 61 საოლქო საარჩევნო კომისიაში ხმების შეჯამების პროცესი, ერთის გარდა, ყველგან დადებითად შეფასდა. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები მთელი დღის განმავლობაში აფიქსირებდნენ მედიის წარმომადგენლის ან ადგილობრივი დამკვირვებლის აკრედიტაციის მქონე პირებს, რომლებიც სხვადასხვა პარტიასთან ან კანდიდატთან იყვნენ დაკავშირებული და ზოგჯერ არჩევნების პროცესშიც ერეოდნენ. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა სამ მეოთხედს, ისევე როგორც, ამ კომისიების თავმჯდომარეთა 65%-ს, ქალები შეადგენდნენ.

წინასწარი მიგნებები

წინასწორია

21 ოქტომბრის არჩევნებზე ამომრჩევლებს 64 მუნიციპალური საბჭოს (საკრებულოს) წევრების, ასევე თბილისსა და ოთხ თვითმმართველ ქალაქში 64 მერის არჩევის შესაძლებლობა ჰქონდათ.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა - 150-დან 115 მანდატი. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 27 მანდატი, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ კი 6 საპარლამენტო მანდატი მიიღო. რაც შეეხება „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოსა“ და დამოუკიდებელ კანდიდატს,

ისინი თითო მანდატით არიან პარლამენტში წარმოდგენილი. არჩევნების შემდეგ, პარლამენტის 21-მა წევრმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დატოვა და „მოძრაობა თავისუფლებისთვის - ევროპული საქართველო“ ჩამოაყალიბა.

„ქართული ოცნების“ მიერ 2017 წლის დასაწყისში შეთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტმა პოლიტიკურ პარტიებში აზრთა სხვადასხვაობა და პოლიტიკური გარემოს პოლარიზება გამოიწვია.¹ პარლამენტში შემავალმა პარტიებმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ფართო კონსენსუსის მიღწევა ვერ შეძლეს. 26 სექტემბერს საკონსტიტუციო უმრავლესობამ 117 ხმით აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილებები დაამტკიცა; პროტესტის ნიშნად საპარლამენტო ოპოზიციამ კენჭისყრას ბოიკოტი გამოუცხადა. 9 ოქტომბერს პრეზიდენტმა შეთავაზებულ ცვლილებებს ვეტო დაადო, თუმცა 13 ოქტომბერს პარლამენტმა ვეტო 117 ხმით დაძლია.²

საარჩევნო სისტემა და საკანონმდებლო ჩარჩო

საკრებულოებში არჩევნები შერეული პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით ტარდება. თბილისში საკრებულოს 25 წევრს პროპორციული სიით, ხოლო 25-ს მაჟორიტარული სისტემით ირჩევენ. თვითმმართველ ქალაქებში (ქუთაისი, ფოთი, ბათუმი და რუსთავი) საკრებულოების 15 წევრი პროპორციული სიით, ხოლო 10 კი მაჟორიტარული სისტემით აირჩევა. დანარჩენ 59 მუნიციპალიტეტში 15 წევრი პროპორციული სიებით, ხოლო 1 წევრი მაჟორიტარული სისტემით თითოეული დასახლებიდან აირჩევა, გარდა ამისა, 1-დან 5-მდე მაჟორიტარი თვითმმართველი თემის ადმინისტრაციული ცენტრის წარმომადგენლად აირჩევა და რაოდენობა დამოკიდებულია კონკრეტული თვითმმართველი თემის სიდიდეზე. აღნიშნული ფორმულა თითოეულ დასახლებას საკრებულოში თავისი წარმომადგენლობის ყოლის შესაძლებლობას აძლევს, თუმცა, სხვადასხვა საარჩევნო ოლქში მცხოვრები ამომრჩევლების საარჩევნო უფლებების კუთხით მნიშვნელოვან უთანასწორობას იწვევს.³

¹ საკონსტიტუციო ცვლილებები, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს პრეზიდენტის უფლებამოსილების გადაცემას პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის კომპეტენციაში. აგრეთვე, ცვლილებები პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის გაუქმებას, ხოლო 2024 წლიდან პარლამენტის მთლიანად პროპორციული საარჩევნო სისტემის მიხედვით არჩევას გულისხმობს. აღნიშნულ ცვლილებებს 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე არავითარი იურიდიული ზეგავლენა არ მოუხდენია.

² 9 ოქტომბერს ვენეციის კომისიამ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით საკუთარი [მოსაზრება](#) გამოაქვეყნა.

³ 21 ოქტომბრის არჩევნებისთვის დადგენილი ხუთი ახალი მაჟორიტარული ოლქიდან მხოლოდ ერთში დაფიქსირდა თითოეულ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საშუალო რაოდენობიდან 15%-მდე ფარგლებში გადახრა. [ვენეციის კომისიის საარჩევნო საკითხებში რეკომენდებული პრაქტიკის კოდექსის](#) კარი 2.2-ის მიხედვით მანდატები თანაბრად უნდა იყოს განაწილებული საარჩევნო ოლქებს შორის, ამ დროს ნორმიდან დასაშვები გადახრა მაქსიმუმ 15%-ს შეადგენს, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, მაგალითად, ეროვნული უმცირესობების დაცვა.

პროპორციულ არჩევნებში ის პარტიები/ბლოკები, რომლებიც არჩევნებში მონაწილეთა ხმების მინიმუმ 4%-ს მიიღებენ, მონაწილეობენ საკრებულოებში ადგილების გადანაწილებაში. რაც შეეხება მაჟორიტარულ სისტემას, ის კანდიდატი ჩაითვლება არჩეულად, რომელიც ხმების უმეტესობას დააგროვებს. მერების არჩევა პირდაპირი წესით ხდება. გამარჯვებულად ის კანდიდატი ჩაითვლება, რომელიც არჩევნებში ხმების 50%-ზე მეტს მიიღებს. თუ ხმების აღნიშნულ რაოდენობას ვერცერთი კანდიდატი ვერ დააგროვებს, არჩევნების მეორე ტური საუკეთესო მაჩვენებლების მქონე ორ კანდიდატს შორის არჩევნების ჩატარებიდან 25 დღის განმავლობაში გაიმართება.

ადგილობრივი არჩევნები ძირითადად 1995 წლის კონსტიტუციით, 2011 წელს დამტკიცებული საარჩევნო კოდექსით, 2014 წელს მიღებული ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და ასევე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის აქტებით რეგულირდება. საკანონმდებლო ჩარჩო ყოვლისმომცველია და სათანადო საფუძველს ქმნის არჩევნების დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად ჩასატარებლად. თუმცა კვლავ სახეზეა გარკვეული ნაკლოვანებები და შეუსაბამობები (იხ. ქვეთავები *კანდიდატების რეგისტრაციის და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესახებ*).

საარჩევნო უფლებების მხრივ არსებული გარკვეული არაჯეროვანი შეზღუდვები შემფოთების საგანს წარმოადგენს. ამ შეზღუდვებს შორის არის: კანდიდატებისთვის საქართველოში მინიმუმ ხუთი წლის მანძილზე ცხოვრების მოთხოვნა, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დახმარების მიმღები პირებისთვის და მენტალური პრობლემების გამო სტაციონარში მოთავსებული პირებისთვის საარჩევნო უფლებების სრულად უარყოფა, საარჩევნო საჩივრების წარმდგენ პირებთან დაკავშირებული შეზღუდვები და უცხოელების, საქველმოქმედო და რელიგიური ორგანიზაციების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების აკრძალვა.⁴

⁴ [შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის](#) (CRPD) 29-ე მუხლის მიხედვით, აღნიშნული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები: „უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანაბარ, ეფექტურ და სრულყოფილ მონაწილეობას; [...] მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას, ხმა მისცენ და კენჭი იყარონ.“ ვენეციის კომისია 2017 წლის 9 ოქტომბერს საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ [მოსაზრებაში](#), შემფოთებას გამოთქვამს საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტში სრული აკრძალვის დატოვებასთან დაკავშირებით. საქართველოს საარჩევნო კოდექსის პროექტთან დაკავშირებით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის მიერ 2011 წელს გამოქვეყნებულ [საერთო მოსაზრებაში](#) აღნიშნული იყო, რომ რელიგიური და საქველმოქმედო ორგანიზაციების და აგრეთვე უცხოელების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებაზე დაწესებული შეზღუდვები რელიგიის და გამოხატვის თავისუფლების, ასევე დისკრიმინაციის აკრძალვის ფუნდამენტურ პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა.

საარჩევნო კოდექსში ბოლო ცვლილებები 2017 წლის ივლისში შევიდა. ცვლილებების უმეტესი ნაწილი ტექნიკური ხასიათის იყო. ამ ცვლილებების შედეგად კანდიდატურასთან დაკავშირებული მოთხოვნები გამარტივდა, არარეგისტრირებული ამომრჩევლების რეგისტრაციისთვის კონკრეტული ვადები დაწესდა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისთვის ელექტრონული რეგისტრაციის სისტემა დაინერგა⁵. თუმცა ამ ცვლილებებით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მანამდე შეთავაზებული მთავარი რეკომენდაციები გათვალისწინებული არ ყოფილა.

2017 წლის ივნისში ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესული ცვლილებების შედეგად შვიდ ქალაქს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი ჩამოერთვა და მათ გარშემო არსებულ დასახლებებთან გაერთიანდა⁶. ამ რეფორმამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე საარჩევნო ოლქების დელიმიტაციაზე. არჩევნებამდე ერთი წელზე ნაკლებ პერიოდში საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩოს ფუნდამენტური ასპექტების ცვლილება საერთაშორისო დონეზე მიღებულ პრაქტიკას ეწინააღმდეგება.⁷

საარჩევნო ადმინისტრაცია

არჩევნების ადმინისტრირება ხორციელდება სამ-დონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან, 73 საოლქო და 3,634 საუბნო საარჩევნო კომისიისგან შედგება⁸. ყველა დონის საარჩევნო კომისიაში 13 წევრია, აქედან 7 წევრს ის პარტიები წარადგენენ, რომლებიც სახელმწიფო დაფინანსებას იღებენ (კვალიფიციური პარტიები).⁹ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დონეზე კიდევ ხუთ წევრს პარლამენტი პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან ირჩევს. ხოლო ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურას პრეზიდენტი ასახელებს და მისი არჩევა ცესკოს

⁵ ზოგიერთი საკანონმდებლო ცვლილება ძალაში მხოლოდ 21 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ შევა. ამ ცვლილებებში საარჩევნო კომისიების შემადგენლობასთან დაკავშირებული ახალი დებულებები შედის, რის შედეგადაც გაიზრდება მმართველი პარტიის წარმომადგენლობა ყველა დონეზე.

⁶ რეფორმამ ზეგავლენა იქონია ზუგდიდის, გორის, თელავის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთის და ახალციხის სტატუსზე; პრეზიდენტმა ამ ცვლილებებს ვეტო დაადო, თუმცა პარლამენტმა აღნიშნული ვეტო დაძლია.

⁷ [ვენეციის კომისიის საარჩევნო საკითხებში რეკომენდებული პრაქტიკის 2002 წლის კოდექსის](#) თანახმად საარჩევნო კანონის ფუნდამენტურ ელემენტებში, კონკრეტულად კი საარჩევნო სისტემის, საარჩევნო კომისიების წევრობის და საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენის კუთხით ცვლილებები არჩევნებამდე ერთ წელზე ნაკლებ ვადაში არ უნდა შევიდეს.

⁸ ამას გარდა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, საავადმყოფოებში და სამხედრო ნაწილებში 10 სპეციალური საარჩევნო უბანი შეიქმნა.

⁹ პარტიებს სახელმწიფო დაფინანსების მიღება იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუ წინა საპარლამენტო ან ადგილობრივ არჩევნებზე ხმების 3% მაინც მიიღეს. ამჟამად ასეთი 20 პარტიაა, აქედან ამ არჩევნებში 16 პარტია მონაწილეობს.

წევრთა ორი მესამედის მიერ ხდება. პარტიების მიერ დასახელებული წევრების გარდა საოლქო საარჩევნო კომისიებში ცესკოს მიერ ღია კონკურსით შერჩეული ხუთი მუდმივი და ერთი დროებითი წევრია. ამჟამად საუბნო საარჩევნო კომისიებში საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ ზემოთხსნებული წესით შერჩეული ექვსი წევრი შედის. ცესკოს სამი წევრი ქალია, მათ შორის, თავმჯდომარე. ცესკოს მონაცემებით, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა 62%-ს (საუბნო საარჩევნო კომისიებში ეს მაჩვენებელი 71%-ს აღწევს), ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა 36%-ს (საუბნო საარჩევნო კომისიებში ეს მაჩვენებელი 63%-ია) ქალები შეადგენენ.

არჩევნების ადმინისტრირება ყველა დონეზე დროულად, ეფექტურად და პროფესიონალურად განხორციელდა. ცესკო რეგულარულად ატარებდა სხდომებს, რომლებიც ღია იყო აკრედიტებული დამკვირვებლებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის. სხდომების დღის წესრიგი და ოქმები რეგულარულად ქვეყნდებოდა ცესკოს ვებგვერდზე. მართალია, ზოგადად საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობა გამჭვირვალე იყო, მაგრამ ცესკო დროდადრო არაფორმალურ, მოსამზადებელი ხასიათის შეხვედრებსაც ატარებდა, რაც საკითხთა განხილვის საჯაროობას მნიშვნელოვნად ამცირებდა. მთლიანობაში ცესკოს მიერ გაწეული მუშაობა კოლეგიალურობით და მხარეთა ჩართულობით ხასიათდებოდა. თუმცა კანონის მოთხოვნა, რომელიც ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს არსებით საკითხებზე ინდივიდუალურ რეჟიმში გადაწყვეტილებების მიღებას ავალდებულებს, კოლეგიალურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს ეწინააღმდეგება. სხვა მხრივ, საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობა აღნიშნული პრინციპების დაცვით მიმდინარეობდა.¹⁰

მართალია, ცესკო ზოგადად დაინტერესებული მხარეების ნდობით სარგებლობდა, მაგრამ ზოგიერთმა ოპოზიციურმა კანდიდატმა საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობა ეჭვის ქვეშ დააყენა, განსაკუთრებით, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნის კუთხით. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრობაზე მცირე რაოდენობით განაცხადი დაფიქსირდა, რამაც საოლქო საარჩევნო კომისიებს არჩევანი შეუზღუდა, რადგან თითოეულ საუბნო საარჩევნო კომისიაში არსებულ ექვს ვაკანსიაზე საშუალოდ რვაზე ნაკლები განაცხადი შევიდა. ცესკოს ინფორმაციით, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა 60%-ზე მეტს საარჩევნო

¹⁰ სხვა უფლებებთან ერთად, ცესკოს თავმჯდომარეს კანონით ევალება პოლიტიკური პარტიების სახელმწიფო დაფინანსების ოდენობის განსაზღვრა, პოლიტიკური პარტიებისა და ბლოკების საარჩევნო სუბიექტებად რეგისტრირება, პროცედურულ საფუძველზე საჩივრების უარყოფის შესახებ დადგენილებების გამოცემა და სასამართლოსთვის საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული სანქციების მოთხოვნით მიმართვა.

ადმინისტრაციაში მუშაობის გამოცდილება გააჩნდა.¹¹ ექვსი საჩივარი საუბნო საარჩევნო კომისიებში პერსონალის შერჩევასა და გამჭვირვალობის ნაკლებობას ეხებოდა, აქედან ცესკომ საჩივრის შემოტანასთან დაკავშირებული ვადების დარღვევის მოტივით სამი საჩივარი არ მიიღო, ხოლო დანარჩენი სამი საჩივარი კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისიამ არ დააკმაყოფილა.¹²

10-დან 9 შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ დანიშნული წევრები საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ თანამდებობებზე იყვნენ არჩეული. იმ საუბნო საარჩევნო კომისიებში, სადაც ხელმძღვანელი პირები პარტიების მიერ დაინიშნენ, შედეგები „ქართულ ოცნების“ ან მის მოკავშირე პარტიების სასარგებლოდ გადაიხარა.¹³

ცესკოს სწავლების ცენტრმა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის ტრენინგები ჩაატარა, ელექტრონული სასწავლო პროგრამა შეიმუშავა, ასევე არჩევნების დღის პროცედურებთან დაკავშირებით ბროშურები გამოსცა და ვიდეო რგოლები მოამზადა. ამას გარდა, სწავლების ცენტრში არჩევნებში დაინტერესებული სხვადასხვა მხარის ტრენინგი გაიმართა, მათ შორის, სახელმწიფო მოხელეებისა და ადგილობრივი თანამდებობის პირების, სასამართლო ხელისუფლების და მედიის წარმომადგენლებისთვის. აღნიშნულ ტრენინგებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიც იყვნენ ჩართული. ტრენინგები, რომლებსაც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია დააკვირდა, ინფორმაციული და ინტერაქტიული იყო, თუმცა ზოგჯერ ტრენინგებზე დასწრების დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდებოდა.

ცესკომ ამომრჩეველთა რეგისტრაციის შესახებ ამომრჩევლების ყოვლისმომცველი ინფორმირება მათთან შეხვედრების, ვიდეო რგოლების და ბეჭდური მასალის მეშვეობით უზრუნველყო, მათ შორის, ეროვნული უმცირესობების და ქვების ენაზე. ცესკომ შეზღუდული შესაძლებლობების პირთა არჩევნებში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით რამდენიმე მისასალმებელი ინიციატივა განახორციელა, მათ შორის, 1,151 ადაპტირებული საარჩევნო უბანი შეიქმნა, სადაც რამდენიმე სპეციალური საარჩევნო ჯიხური განთავსდა.

¹¹ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრობასთან დაკავშირებით დეტალური საკანონმდებლო კრიტერიუმების არარსებობის ფონზე, ცესკოს რეკომენდაციით, საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობის გამოცდილებისა და ტრენინგებში მონაწილეობის გათვალისწინება უნდა მოხდეს.

¹² ცესკოში სამი საჩივარი შევიდა: ერთი საჩივარი დამოუკიდებელი კანდიდატის მიერ თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ, ხოლო ორი კი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ქობულეთის და კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისიების წინააღმდეგ იყო მიმართული; სამი საჩივარი კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისიაში შევიდა: ორი მათგანი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ხოლო ერთი კი კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების მიერ.

¹³ მაგალითად, 224-დან 221 საუბნო საარჩევნო კომისიაში, სადაც პარტიების მიერ ნომინირებული წევრები აირჩიეს თავმჯდომარეებად, ეს ადამიანები „ქართული ოცნების“ ან „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ მიერ იყვნენ წარდგენილი.

ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ხმის მიცემის უფლება არჩევნების დღისთვის 18 წელს მიღწეულ ყველა პირს აქვს, გარდა იმ პირებისა, რომელთაც პატიმრობა ხუთ წელზე მეტი ვადით აქვთ მისჯილი. სასამართლოს მიერ ცნობილი ბენეფიციარის სტატუსის მქონე პირები ხმის მიცემის უფლებით სარგებლობენ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი სტაციონარში იმყოფებიან.

ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესი პასიურია. იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და სხვა შესაბამისი ორგანოების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე, ცესკო ამომრჩეველთა სიების შედგენაზე არის პასუხისმგებელი. დაინტერესებულმა მხარეებმა ამომრჩეველთა სიების სიზუსტესთან დაკავშირებით მაღალი დონის ნდობა გამოხატეს.

ამომრჩეველთა სიებში პირადობის დამადასტურებელი მოქმედი მოწმობის ან ბიომეტრული პასპორტის მქონე ის ამომრჩეველები არიან შეყვანილი, რომლებიც მუდმივ ან დროებით მისამართზე არიან რეგისტრირებული.¹⁴ 2014 წლის შემდეგ თითოეული ამომრჩევლის რეგისტრაციას თან უნდა ახლდეს ციფრული ფოტო. თუმცა 1,831 ამომრჩეველი სიებში იმის გამო ვერ მოხვდა, რომ მათი ფოტოები ცუდი ხარისხის იყო ან საერთოდ არ მოიპოვებოდა, შესაბამისად, მათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჩამოერთვათ, რაც საერთაშორისო ვალდებულებებს ეწინააღმდეგება.¹⁵ ინფორმაციის ნაკლებობის გამო, გარდაცვლილი, უცხოეთში ან საქართველოს ხელისუფლების არაკონტროლირებად ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეების ამომრჩეველთა სიებიდან ამოღება კვლავ გამოწვევად რჩება.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ამომრჩეველთა გადამოწმების მიზნით კარდაკარ შემოწმება განახორციელა და სახის ამოცნობის სპეციალური კომპიუტერული პროგრამა პოტენციური დუბლირებების გამოსავლენად გამოიყენა. ამის შედეგად, სიიდან 12,274 ადამიანი ამოიღეს, რის შესახებაც მათ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსგან შესაბამისი შეტყობინებები მიიღეს. ივლისში საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, მისამართის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის არმქონე ამომრჩეველებს და ასევე იმ პირებს, რომელთა რეგისტრაცია

¹⁴ იხილეთ კონგრესის რეკომენდაცია 369(2015) საარჩევნო სიებისა და რეალურად საზღვარგარეთ მცხოვრები ამომრჩეველების შესახებ.

¹⁵ [ეუთოს 1990 წლის „კოპენჰაგენის დოკუმენტის“](#) 24-ე პუნქტის მიხედვით ნებისმიერი შეზღუდვა კანონის მიზნებს და ამოცანებს უნდა ეხმარებოდეს და მათი პროპორციული უნდა იყოს. 1996 წლის გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი #25-ის მე-10 პუნქტის მიხედვით საარჩევნო უფლების ნებისმიერი შეზღუდვა გონივრული უნდა იყოს.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ გააუქმა, ხელახალი რეგისტრაციის შესაძლებლობა მიეცათ. ამ შესაძლებლობით 5,014-მა ამომრჩეველმა ისარგებლა. 21 ოქტომბრის არჩევნებისთვის ამჟამინდელი საცხოვრებელი მისამართის მიხედვით, ამომრჩეველთა სიებში დაახლოებით 199,300 იძულებით გადაადგილებული პირი იქნა შეყვანილი. მათ, ვისაც იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი შექმრებული ჰქონდათ ან ოფიციალური სტატუსი არ გააჩნდათ, ამის შესახებ ეცნობათ და რეგისტრაციის გავლის შესაძლებლობა მიეცათ. 2017 წელს საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით, იძულებით გადაადგილებული პირის დამადასტურებელი მოწმობები არჩევნებში მონაწილეობისთვის სავალდებულო აღარ არის. პირადობის დამადასტურებელი მოწმობები უფასოდ, სამთავრობო პროგრამის ფარგლებში გაიცა.

ამომრჩევლებს სიებში საკუთარი მონაცემების გადამოწმების და ამ მონაცემებში ცვლილებების შეტანის მოთხოვნის საკმარისი შესაძლებლობა მიეცათ. 21 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე პერიოდში ამომრჩეველთა წინასწარი სიები საარჩევნო უბნებში და საოლქო საარჩევნო კომისიებში იყო გამოკრული. გარდა ამისა, ამომრჩევლებს საკუთარი რეგისტრაციის გადამოწმება ინტერნეტის და ასევე მთელ ქვეყანაში განლაგებული 9,500 სწრაფი გადახდის ტერმინალის მეშვეობით შეეძლოთ.¹⁶ სულ სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანა 1,780-მა ამომრჩეველმა ითხოვა. ცესკომ 11 საარჩევნო სუბიექტს და სამოქალაქო საზოგადოების 1 ორგანიზაციას ამომრჩეველთა სიების ციფრული ვერსიები, მათი მოთხოვნის საფუძველზე, კანონის შესაბამისად მიაწოდა. ცესკოს განცხადებით, 16 ოქტომბერს რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 3,440,123 პირს შეადგენდა.

კანდიდატების რეგისტრაცია

საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიღება ხმის მიცემის უფლების მქონე 21 წელს მიღწეულ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია; ხოლო მერობის კანდიდატი მოქალაქე მინიმუმ 25 წლის უნდა იყოს. კანდიდატების მიმართ არჩევნებამდე საქართველოში მინიმუმ ორი წლის მანძილზე ცხოვრებასთან დაკავშირებული მოთხოვნის ბოლო დროს გაუქმებამ კანდიდატების რეგისტრაციის პროცესის ინკლუზიურობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. თუმცა, ქვეყანაში ჯამში მინიმუმ ხუთი წლის მანძილზე ცხოვრების მოთხოვნა კვლავ ძალაში რჩება.¹⁷ კანონის მიხედვით, თბილისის საკრებულოს არჩევნებში მონაწილე კანდიდატები უნდა ფლობდნენ ქართულ ენას; ამგვარი მოთხოვნა სხვა მუნიციპალიტეტების მიმართ არ გამოიყენება. თუმცა, ენასთან დაკავშირებული ეს

¹⁶ ცესკოს ინფორმაციით, საკუთარი მონაცემები დაახლოებით 400,000-მა მოქალაქემ გადამოწმა.

¹⁷ [ვენეციის კომისიის საარჩევნო საკითხებში რეკომენდებული პრაქტიკის კოდექსის](#) I.1.c.iv-ე მუხლის მიხედვით „ქვეყანაში ცხოვრების სავალდებულო ვადა ექვს თვეს არ უნდა აჭარბებდეს; უფრო ხანგრძლივი ვადის დაწესება მხოლოდ ეროვნული უმცირესობების დასაცავად არის დასაშვები;“

მოთხოვნა რეალურად არ სრულდება.¹⁸ ზოგადად, პროცესში ჩართულმა მხარეებმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას კანდიდატების რეგისტრაციის პროცესის მიმართ კმაყოფილება გამოთქვეს.

არჩევნებში კანდიდატების წარსადგენად პარტიები ცესკოში უნდა იყვნენ რეგისტრირებული. იმ პარტიებს, რომლებსაც წინა საპარლამენტო არჩევნებში არ მიუღიათ მონაწილეობა, დამატებით მთელი ქვეყნის მასშტაბით მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვება დაევალა.¹⁹ ცესკომ წარდგენილი ხელმოწერები შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლების თანდასწრებით გადაამოწმა. ცესკოს ჯამში 38-მა პარტიამ მიმართა, აქედან 36-ის რეგისტრაცია მხარეთა ჩართულობით და გამჭირვალედ განხორციელდა, ხოლო ორ პარტიას რეგისტრაციაზე უარი ეთქვა.²⁰ სამ პარტიას პირადი განცხადების საფუძველზე რეგისტრაცია გაუუქმდა. თერთმეტმა პარტიამ შემდგომში ხუთი საარჩევნო ბლოკი შექმნა, ხოლო 22 პარტია დამოუკიდებლად მონაწილეობდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2016 წელს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად დამოუკიდებელ კანდიდატებს, გარდა მაჟორიტარის მანდატის მოსაპოვებლად კენჭისყრისა, მერის არჩევნებშიც შეუძლიათ მონაწილეობა. არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად მათ შესაბამის საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 1%-ის მხარდამჭერი ხელმოწერები უნდა შეეგროვებინათ. თუმცა პარტიებს ხელმოწერების შესაგროვებლად 60 დღე ჰქონდათ მაშინ, როდესაც დამოუკიდებელ კანდიდატებს ამისთვის 10 დღემდე ვადა განესაზღვრათ.²¹ თბილისის მერის არჩევნებში სულ ცამეტმა კანდიდატმა მიიღო მონაწილეობა, აქედან ერთი დამოუკიდებელი, ხოლო ორი ქალი კანდიდატი იყო. ცესკომ და საოლქო საარჩევნო კომისიებმა პარტიების და ბლოკების მიერ ჯამში წარმოდგენილი 591 პროპორციული სია (აქედან 37% ქალი), 396 მერობის კანდიდატი (მათ შორის 13% ქალი) და 4,727 მაჟორიტარობის კანდიდატი (მათ შორის 16% ქალი) დაარეგისტრირეს.²² ინფორმაცია

¹⁸ ცესკომ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ განაცხადის ფორმის შევსებისას თბილისის საკრებულოს არჩევნებში მონაწილე კანდიდატებმა უნდა მიუთითონ, რომ ფლობენ ქართულ ენას.

¹⁹ კვალიფიციურ პარტიებს 1,000, ხოლო არაკვალიფიციურ პარტიებს 25,000 ხელმოწერის შეგროვება დაევალა.

²⁰ „საქართველოს ეკონომიკური განვითარების და სიღარიბის დაძლევის პარტიის“ რეგისტრაციის მოთხოვნა არაუფლებამოსილმა პირმა წარადგინა, ხოლო პოლიტიკურმა პარტია „გირჩმა“ მხარდამჭერთა ხელმოწერები არასაკმარისი რაოდენობით წარმოადგინა.

²¹ ცესკომ დამოუკიდებელი კანდიდატების წარმდგენი საინიციატივო ჯგუფების მიერ მხარდამჭერთა ხელმოწერების წარდგენის საბოლოო ვადად 1 სექტემბერი დაადგინა, არჩევნებამდე 50 დღით ადრე. თუმცა საარჩევნო კომისიებმა საინიციატივო ჯგუფებისგან განაცხადების მიღება მხოლოდ არჩევნების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან - 22 აგვისტოდან დაიწყეს.

²² ჯამში არჩევნები 64 მუნიციპალიტეტში არსებულ 1,090 მაჟორიტარული ოლქში ტარდება.

იმის შესახებ, თუ რამდენმა პარტიამ შეასრულა ნებაყოფლობით გენდერული კვოტა და როგორ, არჩევნების დღემდე ხელმისაწვდომი არ იყო.

კანდიდატურების მოხსნის საბოლოო ვადად 9 ოქტომბერი განისაზღვრა. სულ არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატურა 196 მაჟორიტარობის კანდიდატმა (4%) მოხსნა. ზოგიერთ მაჟორიტარულ ოლქში კონკურენცია ნაკლებად შეინიშნებოდა ან არჩევნებში მხოლოდ ერთი კანდიდატი იღებდა მონაწილეობას.²³ რამდენიმე დამოუკიდებელმა კანდიდატმა საკუთარი კანდიდატურა პარტიულ სიაში მოხვედრის სანაცვლოდ მოხსნა. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ზოგიერთმა სუბიექტმა საკუთარი კანდიდატურა - ზეწოლის შედეგად მოხსნა. რამდენიმე შემთხვევაში ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა ამგვარი ინფორმაციის დადასტურება მოახერხა.²⁴

წინასაარჩევნო გარემო

წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად 22 აგვისტოს დაიწყო. თუმცა არჩევნებში მონაწილე ბევრმა სუბიექტმა თბილისის მერობის კანდიდატების დასახელება და გავრცელებული ინფორმაციით, წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება ამ თარიღზე ადრე დაიწყო. თბილისის ფარგლებს გარეთ წინასაარჩევნო კამპანია ზოგადად აქტიურობით არ გამოირჩეოდა, თუმცა არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად წინასაარჩევნო კამპანია უფრო ინტენსიური გახდა. ზოგადად, წინასაარჩევნო კამპანია თვალშისაცემი უფრო დიდ ქალაქებში იყო. მთლიანობაში გამოხატვის და შეკრების თავისუფლება დაცული იყო. წინასაარჩევნო ატმოსფერო ზოგადად მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა რამდენიმე ძალადობრივი ინციდენტის გამოკლებით²⁵

არსებობდა მოსაზრება, რომ საჯარო სექტორში დასაქმებულთა მიერ არჩევნების დროს მიღებულ გადაწყვეტილებებს მათ შემოსავლის წყაროზე და მომავალ დასაქმებაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. ეს ზეწოლის მიმართ საზოგადოების დაუცველ სეგმენტს

²³ 17 მაჟორიტარობის კანდიდატს არჩევნებში კონკურენტი არ ჰყოლია, ყველა მათგანი „ქართული ოცნების“ კანდიდატი იყო.

²⁴ მაგალითად, ახალქალაქში, ამბროლაურში, დმანისში, გორში, თეთრიწყაროსა და ცაგერში.

²⁵ 23 სექტემბერს სოფელ სადახლოში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატი და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომელი ფიზიკურად თავს დაესხა „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატს. 2 ოქტომბერს თბილისის მერიასთან, ხოლო 10 ოქტომბერს თბილისის საკრებულოსთან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციები ძალადობაში მას შემდეგ გადაიზარდა, რაც საკრებულოს დეპუტატებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ თბილისის მერიაში და საკრებულოს შენობაში შესვლის უფლება არ მისცეს. მოხდა რამდენიმე ადამიანის, მათ შორის, ერთი კანდიდატის დაკავება. 19 ოქტომბერს სოფელ ყიზილაჯლოში მდებარე „ქართული ოცნების“ მარნეულის მუნიციპალურ ოფისს შეიარაღებული პირი დაესხა თავს, რის შედეგადაც ოთხი ადამიანი, მათ შორის, მაჟორიტარობის კანდიდატი დაიჭრა.

ეხებოდა. ისმოდა მრავალი ბრალდება სკოლებისა და საბავშვო ბაღების მასწავლებლების მმართველი პარტიის მხარდასაჭერად მობილიზების და ამ პარტიის წინასაარჩევნო ღონისძიებებში, ხანდახან ზეწოლის შედეგად, მათი მონაწილეობის შესახებ.²⁶ ამან გარკვეული შეშფოთება გამოიწვია საჯარო სექტორში დასაქმებულთა მიერ თავისუფლად და სამაგიეროს გადახდის შიშის გარეშე ხმის მიცემის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, რაც ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს ეწინააღმდეგება.²⁷ 7 ოქტომბერს იუსტიციის მინისტრმა, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის კომპეტენციის ფარგლებში, დარღვევების არსებობის ფაქტი აღიარა.

პროცესში ჩართულმა რამდენიმე მხარემ მმართველი პარტიის მიერ ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენების შესახებ ბრალდებები გააჟღერა.²⁸ 29 სექტემბერს სახელმწიფოს დაფინანსებაზე მყოფმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩი ჩაატარა, რომელშიც ფეხბურთის ყოფილმა ვარსკვლავებმა და „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატმა მიიღეს მონაწილეობა. მართალია, ეს კანონდარღვევას არ წარმოადგენდა, თუმცა წინასაარჩევნო პერიოდში ამგვარი ღონისძიების ჩატარება დაინტერესებული მხარეების მიერ მმართველი პარტიის კანდიდატის მხარდამჭერ აქტივობად იქნა აღქმული. მერობის ორი კანდიდატის მიმართ ნეგატიური აგიტაციის წარმოების ფაქტები დაფიქსირდა თბილისში.

მმართველმა პარტიამ ფართომასშტაბიანი წინასაარჩევნო კამპანია აწარმოა მრავალი ბილბორდის, გარე რეკლამის და კარდაკარის პრინციპის გამოყენებით მაშინ, როდესაც სხვა პარტიები, მათ შორის, ოპოზიცია ნაკლებად თვალშისაცემ წინასაარჩევნო კამპანიას

²⁶ არსებული ინფორმაციით, 18 სექტემბერს აჭარაში მდებარე ერთ-ერთი საჯარო სკოლის მასწავლებელს ბავშვების „ქართული ოცნების“ მხარდაჭერის მიზნით მობილიზება დასდეს ბრალად. 27 სექტემბერს ბორჯომის საჯარო სკოლის მასწავლებელმა სკოლაში ღონისძიება მოაწყო რომლის დროსაც ის და მოსწავლეები „ქართული ოცნების“ დროშებს აფრიალებდნენ.

²⁷ იხილეთ [1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის](#) 7.7-ე პუნქტი. ასევე, იხილეთ [„ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები პოლიტიკური პარტიების რეგულაციების შესახებ“](#), 209-ე პუნქტი.

²⁸ 15 სექტემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს თანამშრომელი „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო ღონისძიების ამსახველი ფოტოების აღნიშნული სამინისტროს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნების გამო გააფრთხილა. 19 სექტემბერს თბილისის მერიამ სოციალური რეკლამა გადასცა ეთერში, რომელშიც არსებული ადმინისტრაციის მიღწევები იყო ასახული. 22 სექტემბერს თბილისში ახალი ველო-ბილიკის გახსნაზე, რომელიც თბილისის მერიის მიერ იყო ორგანიზებული, მხოლოდ „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი იყო მიწვეული. 16 ოქტომბერს თბილისის მერობის „ქართული ოცნების“ კანდიდატმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ერთად მეტროს ახალი სადგურის გახსნაში მიიღო მონაწილეობა. იხილეთ კონგრესის რეზოლუცია 402(2016) „საარჩევნო პროცესების დროს ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენების შესახებ: ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე არჩეული წარმომადგენლების და საჯარო ოფიციალური პირების როლი.“

ეწეოდა. რამდენიმე დამოუკიდებელი კანდიდატი საკუთარ საარჩევნო ოლქებში აქტიურად ატარებდა წინასაარჩევნო კამპანიას. სხვადასხვა პარტიას და ბლოკს, მათ შორის, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, „პატრიოტთა ალიანსს“, „ლეიბორისტულ პარტიას“ და „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობას“ ნაკლებად თვალშისაცემი წინასაარჩევნო აქტივობები და შეზღუდული ფინანსები ჰქონდათ, ისინი ძირითადად სახელმწიფოს დაფინანსებაზე იყვნენ დამოკიდებული.

წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში საარჩევნო სუბიექტები ძირითადად მოსახლეობასთან მცირემასშტაბიანი შეხვედრებით, კარდაკარ აგიტაციით, ბროშურების გავრცელებით და ტრადიციული მედია საშუალებების, განსაკუთრებით ტელევიზიის, ასევე სოციალური მედიის გამოყენებით შემოიფარგლებოდნენ. მართალია, წინასაარჩევნო კამპანიის დროს გაჟღერებული გზავნილები ისეთ საკითხებს ეხებოდა, როგორებიცაა ინფრასტრუქტურა, სოციალური დაცვა და უმუშევრობა, მაგრამ წინასაარჩევნო კამპანიის ძირითადი ნაწილი მაინც კონკრეტული კანდიდატების და არა მათ მიერ შემოთავაზებული პროგრამების გარშემო ტრიალებდა. თბილისის მერობის წინასაარჩევნო კამპანიამ მთელი ქვეყნის ყურადღება მიიპყრო. ამ კამპანიის ფარგლებში ძირითადი კანდიდატები უფრო კონკრეტულ თემებზე დაფუძნებულ პლატფორმებს ეყრდნობოდნენ.

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

პარტიების და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო ძირითადად საარჩევნო კოდექსით და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონით შემოიფარგლება. მართალია, საარჩევნო კოდექსში ცვლილებები 2017 წლის ივლისში შევიდა, მაგრამ ამ ცვლილებებში ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) მიერ წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებული არ ყოფილა. დამოუკიდებელ კანდიდატებთან მიმართებაში, წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების კუთხით, არსებულ დებულებებში შეუსაბამობები კვლავ რჩება.²⁹ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების მარეგულირებელი და ზედამხედველი ორგანოა, ზოგიერთ საკანონმდებლო შეუსაბამობასთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთა.

²⁹ მაგალითად, კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ მერობის დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის წინასაარჩევნო ხარჯების ლიმიტს არ ადგენს, გარდა ამისა, დამოუკიდებელ კანდიდატებზე რეგულარული ფინანსური ანგარიშების წარდგენის ვალდებულება არ ვრცელდება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოსცა დადგენილება, რომელშიც აღნიშნული საკითხები იქნა განმარტებული; აღნიშნული დადგენილება კანდიდატებს გაეგზავნათ.

2 ოქტომბერს პარლამენტმა თანამდებობაზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ახალი თავმჯდომარე დაამტკიცა, რომელმაც 3 ოქტომბერს თავისი მოადგილეები შეცვალა, რომელთაგან ერთ-ერთი 21 ოქტომბრის არჩევნების განმავლობაში პარტიებისა და წინასაარჩევნო კამპანიების დაფინანსების მონიტორინგზე იყო პასუხისმგებელი. შედეგად, არჩევნებით დაინტერესებულმა რამდენიმე მხარემ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ეჭვები გამოთქვა.

საარჩევნო სუბიექტების მიერ მოზიდულ შემოწირულობებს შორის მნიშვნელოვანმა სხვაობამ თამაშის თანაბარი პირობების ჩამოყალიბება ვერ უზრუნველყო. 1 ივნისიდან 16 ოქტომბრამდე პერიოდში 8 პარტიამ, 4 ბლოკმა და 14 დამოუკიდებელმა კანდიდატმა 887 ინდივიდუალური დონორისგან და 48 იურიდიული პირისგან სულ 12,230,144 ლარის ოდენობის შემოწირულობა მოიზიდა და მათი დეკლარირება მოახდინა.³⁰ „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ გაკეთებულმა შემოწირულობებმა მთლიანი ოდენობის 91.1% შეადგინა. მაშინ, როდესაც კვალიფიციურ პარტიებს სახელმწიფო დაფინანსების მიღების, მათ შორის, წინასაარჩევნოდ გაწეული ხარჯების ანაზღაურების უფლება გააჩნიათ. დამოუკიდებელი კანდიდატები ამგვარი დაფინანსების მიღების შესაძლებლობას მოკლებული არიან, რაც საერთაშორისო დონეზე მიღებულ პრაქტიკას ეწინააღმდეგება.³¹

არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს არჩევნებში რეგისტრაციის შემდეგ საკუთარი შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ანგარიშის სამ კვირაში ერთხელ წარდგენა ევალებათ. საანგარიშო პერიოდში ორმა პარტიამ და ბლოკმა, ორმა დამოუკიდებელმა მერობის კანდიდატმა და 57-მა დამოუკიდებელმა მაჟორიტარობის კანდიდატმა ანგარიშგებასთან დაკავშირებული აღნიშნული მოთხოვნა არ შეასრულა.³² კანონის ფარგლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურს საარჩევნო სუბიექტების მიერ შემოტანილი ფინანსური ანგარიშების შემოწმებისთვის და ამ შემოწმების შედეგების არჩევნების დღემდე გამოქვეყნებისთვის არავითარი კონკრეტული ვადები არ აქვს განსაზღვრული.

³⁰ 1 ევრო დაახლოებით 2.9 ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდში „ქართულმა ოცნებამ“ 11,149,257 ლარის ოდენობის შემოწირულობა მიიღო, მეორე ადგილზე „ევროპული საქართველო“ 826,487 ლარით; „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 112,932 ლარი მოიზიდა; „ახალმა საქართველომ“ – 34,600 ლარი; „პატრიოტთა ალიანსმა“ – 32,142 ლარი ; „დემოკრატიულმა მოძრაობა - თავისუფალმა საქართველომ“ – 31,486 ლარი; „შენების მოძრაობამ“ – 30,677 ლარი, ხოლო ალექსანდრე ელისაშვილმა 24,916 ლარის ოდენობის შემოწირულობა მიიღო.

³¹ 2002 წლის [ვენეციის კომისიის საარჩევნო საკითხებში რეკომენდებული პრაქტიკის კოდექსის](#) I.2.3-ე პუნქტის მიხედვით პარტიებსა და კანდიდატებისთვის თანაბარი შესაძლებლობები უზრუნველყოფილი უნდა იყოს. [„ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის პოლიტიკური პარტიების რეგულაციების შესახებ ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპების“](#) 130-ე პუნქტის შესაბამისად არჩევნებზე ხელმისაწვდომობის პირობები და ხარჯები, ისევე როგორც პარტიების მიმართ კანდიდატების წარდგენასთან დაკავშირებული შეზღუდვები მსგავსად უნდა ვრცელდებოდეს დამოუკიდებელ კანდიდატებზე.

³² სასამართლომ საარჩევნო სუბიექტების გაფრთხილება გადაწყვიტა.

ამან წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობის ხარისხი შეამცირა, რაც საერთაშორისო დონეზე მიღებულ პრაქტიკას ეწინააღმდეგება.³³

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 16 საჩივარი განიხილა, რის შედეგადაც სასამართლომ წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული რეგულაციების შეუსრულებლობისთვის ორი საარჩევნო სუბიექტი დააჯარიმა.³⁴ თანხების წარმომავლობის დასადგენად სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 14 დონორთან ჩაატარა გასაუბრება.³⁵

რამდენიმე კვალიფიციურმა ოპოზიციურმა პარტიამ შეშფოთება გამოთქვა ცესკოს სწავლების ცენტრის მიერ ცოტა ხნის წინ მიღებული გადაწყვეტილების გამო, რომლის თანახმად, სწავლებების დასაფინანსებლად კვალიფიციური პარტიებისთვის სახელმწიფო თანხების გამოყოფა ყოველთვის უნდა არა კვარტალურად მოხდებოდა, რაც საერთაშორისო დონეზე მიღებულ პრაქტიკას ეწინააღმდეგება.³⁶ “ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა, რადგან, მათი აზრით, აღნიშნული გადაწყვეტილება წინასაარჩევნო პერიოდში პარტიას არახელსაყრელ პირობებში აყენებდა. მიუხედავად იმისა, რომ კანონის მიხედვით პოლიტიკურ პარტიებს საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიების დასაფინანსებლად საბანკო სესხების მიღება შეუძლიათ, რამდენიმე პარტიას უარი ეთქვა კომერციულ ბანკებში სესხების მოთხოვნასთან დაკავშირებით შეტანილ განცხადებაზე იმ მოტივით, რომ ამ ბანკების შიდა პოლიტიკა პარტიებისთვის სესხების გაცემის უფლებას არ იძლეოდა.

³³ [„ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის პოლიტიკური პარტიების რეგულაციების შესახებ ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპების“](#) 194-ე და 206-ე პუნქტების მიხედვით გამჭვირვალობა მნიშვნელოვანია, რადგან საზოგადოებას აქვს უფლება იყოს ინფორმირებული. ამომრჩევლებს უნდა ჰქონდეთ წვდომა პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული ფინანსური დანხარების შესახებ, საზოგადოების წინაშე მათი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. აღნიშნული პუნქტების მიხედვით ფინანსური ანგარიშები დროულად უნდა გამოქვეყნდეს მოსახლეობისთვის გასაგებ ფორმატში.

³⁴ დღეის მონაცემებით ნაღდი ფულით ანგარიშსწორების შესახებ ანგარიშების წარუდგენლობის გამო „ლეიბორისტული პარტია“ და „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“ 2,000 ლარით დაჯარიმდნენ.

³⁵ აქედან ოთხმა შემოწირულობა „ქართული ოცნების“, ათმა კი „ევროპული საქართველოს“ სასარგებლოდ გააკეთა. ამას გარდა, გასაუბრება კიდევ 16 დონორთანაა დაგეგმილი.

³⁶ [„ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის პოლიტიკური პარტიების რეგულაციების შესახებ ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპების“](#) 183-ე და 184-ე პუნქტების მიხედვით სახელმწიფო დაფინანსების გამოყოფა საარჩევნო პროცესის ადრეულ ეტაპზე უნდა მოხდეს, საარჩევნო პერიოდის მთელს მანძილზე თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით. სახელმწიფო დაფინანსების გამოყოფის წინასაარჩევნო კამპანიის გვიანი ეტაპებისთვის ან არჩევნების დღის შემდგომი პერიოდისთვის გადატანა საარჩევნო კამპანიის თანასწორობის პრინციპის დარღვევას გამოიწვევს, რადგან ეს ნაკლებად შეძლებულ პარტიებზე იქონიებს უარყოფით ზეგავლენას.

მედია

მედია მრავალფეროვანია და 92 ტელეარხს (მათ შორის, 12 ეროვნულ საერთო ციფრულ მაუწყებელს), 51 რადიო სადგურს და დაახლოებით 300 ბეჭდურ გამოცემას მოიცავს. ტელევიზია ინფორმაციის მიღების ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, განსაკუთრებით, დედაქალაქის გარეთ. 2015 წელს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა, რამაც მედიის ხელმისაწვდომობის ზრდას შეუწყო ხელი, წარმატებად ითვლება. ონლაინ მედიის როლი სტაბილურად იზრდება, განსაკუთრებით, ურბანულ ცენტრებში.

2012 წლის შემდეგ ზოგადად მედიის თავისუფლების მხრივ თვალშისაცემი გაუმჯობესება შეინიშნება. თუმცა ჟურნალისტები კვლავ დაუცველები არიან პოლიტიკური ზეგავლენისგან, კერძოდ კი, სამაუწყებლო მედია პოლიტიკური თვალსაზრისით აღიქმება, როგორც პოლარიზებული და დაყოფილი. გარდა ამისა, მედიის ფინანსური მდგრადობისა და დამოუკიდებლობის კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევები რჩება. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტში ბოლო დროს განხორციელებულმა ცვლილებებმა მსგავსი შემფოთება გამოიწვია, რადგან ამ ცვლილებების შედეგად დაიხურა რამოდენიმე სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის პროგრამა, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხი, რომელიც პარლამენტის სესიებს პირდაპირ ეთერში გადასცემდა და ასევე, ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ პროგრამებს ამზადებდა.

2017 წლის 2 მარტს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მფლობელთა ცვლილებას ითვალისწინებდა („რუსთავი 2“ თავისი კრიტიკული და მკვეთრად ოპოზიციური მიმართულებით გამოირჩევა) რამდენიმე ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციამ გააკრიტიკა, მათ შორის, ეუთოს წარმომადგენელმა მედიის თავისუფლების საკითხებში, რომელმაც მედიის პლურალიზმის და დამოუკიდებლობის კუთხით არსებულ საფრთხეებს გაუსვა ხაზი.³⁷ 7 მარტს ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ შემდგომ შეტყობინებამდე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა შეჩერებულიყო და ხელისუფლებას მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევისგან თავი შეეკავებინა. ტელეკომპანია აგრძელებს ფუნქციონირებას, მაგრამ, როგორც ჩანს, მის მფლობელობასთან დაკავშირებული გაურკვევლობის ფონზე არხი ფინანსური შეზღუდვების წინაშე დგას.

მედიის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო გამოხატვის თავისუფლებას უზრუნველყოფს და ცენზურას კრძალავს. საარჩევნო კოდექსის მიხედვით, მაუწყებლები ვალდებული არიან კვალიფიციური პარტიების წინასაარჩევნო რეკლამებისთვის უფასო

³⁷ იხილეთ მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენლის 3 მარტის [პრეს-რელიზი](#).
არაოფიციალური თარგმანი

საეთერო დრო გამოყოფნა, კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისთვის დებატების ორგანიზება მოახდინონ და ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამების კუთხით თანაბარი პირობები უზრუნველყონ. საარჩევნო კოდექსით საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს და საზოგადოებრივი მაუწყებლის „აჭარის ტელევიზიას“ (რეგიონული საზოგადოებრივი მაუწყებელი) უფასო საეთერო დროის ყველა არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისთვის გამოყოფა ევალებათ.³⁸ პარტიებს ფასიანი რეკლამის ხარჯების ზედა ზღვარი არ აქვთ განსაზღვრული.³⁹

მართალია ჟურნალისტიკის პროფესიული და ეთიკური სტანდარტები, მათ შორის, მიუკერძოებლობა და ბალანსი კანონის მიხედვით თვითრეგულირების მექანიზმით უნდა იყოს დარეგულირებული, მაგრამ რამდენიმე მაუწყებელს ამ მხრივ მხოლოდ არაფორმალური პროცედურები აქვს დადგენილი.⁴⁰ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია კანონის შესაბამისად მედიის მიერ რეკლამის განთავსებასა და საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნებას ზედამხედველობს. ამ მიზნით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების შემდეგ 49 ტელეარხის მონიტორინგი განახორციელა.

დაკვირვების პერიოდში გამოხატვის თავისუფლება დაცული იყო. მედიამ საარჩევნო სუბიექტებს ელექტორატისთვის საკუთარი გზავნილების მისაწოდებლად სხვადასხვა საშუალება შესთავაზა. მართალია, ამომრჩევლებმა მრავალფეროვანი ინფორმაცია მიიღეს, რაც მათ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას აძლევდა, მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე მედია საშუალებით ინფორმაციის მიღების შედეგად იყო შესაძლებელი. წინასაარჩევნო კამპანია თვალშისაცემი იყო სხვადასხვა პროგრამებით, მათ შორის, დებატებით, რომლებიც ეროვნული და ადგილობრივი მაუწყებლების მიერ

³⁸ გარდა ამისა, მედიის მიერ წინასაარჩევნო პერიოდში მუშაობა 2012 წლის „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილებით“ და 2017 წლის „წინასაარჩევნო კამპანიის მედიამონიტორინგის სახელმძღვანელო წესებით და რეკომენდაციებით“ რეგულირდება. ორივე დოკუმენტი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დაამტკიცა.

³⁹ მაუწყებლებს ცესკოს ვებ-გვერდზე წინასაარჩევნო რეკლამების განთავსების ტარიფები და ამ მხრივ, საარჩევნო სუბიექტებთან მიღწეული შეთანხმებები უნდა გამოექვეყნებინათ. სხვადასხვა მედია საშუალების განცხადებით, საარჩევნო სუბიექტებს ფასიანი სარეკლამო დროის შესყიდვის მიმართ ნაკლები ინტერესი გააჩნდათ. რამდენიმე მაუწყებელმა საარჩევნო სუბიექტებს წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებისთვის კომერციულ რეკლამაზე უფრო დაბალი ფასები შესთავაზა.

⁴⁰ მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, მაუწყებლები ვალდებული არიან თვითრეგულირების ეფექტური მექანიზმი ჩამოაყალიბონ, რის შედეგადაც საჩივრების განხილვა და მათზე დროული და არგუმენტირებული რეაგირება გახდება შესაძლებელი.

გადაიცა.⁴¹ მედია, მათ შორის, საზოგადოებრივი მაუწყებლები უფასო სარეკლამო დროის გამოყოფასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ასრულებდნენ.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ წარმოებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ გარკვეული მედია საშუალებები წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებისას ძირითად აქცენტს მთავარ საარჩევნო სუბიექტებზე აკეთებდნენ.⁴² მაშინ, როდესაც აჭარის ტელევიზიამ წინასაარჩევნო კამპანია დაბალანსებულად გააშუქა, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სხვა პარტიებთან შედარებით მეტი დრო მმართველ პარტია „ქართულ ოცნებას“ დაუთმო.⁴³ ამას გარდა, საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებები კრიტიკული და ანალიტიკური მასალების ნაკლებობით გამოირჩეოდა.

ყველაზე პოპულარული კერძო მაუწყებლების „იმედისა“ და „რუსთავი 2“-ის მიდგომა წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმართ ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. მაშინ, როდესაც „რუსთავი 2“ ხშირად აკრიტიკებდა „ქართულ ოცნებას“ და მთავრობას, ის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ამ პარტიის თბილისის მერობის კანდიდატის მიმართ ლოიალურობით გამოირჩეოდა. გაშუქების ოდენობის მხრივ, „იმედის“ მიკერძოებულობა „ქართული ოცნების“ მიმართ თვალსაჩინო იყო. ამას

⁴¹ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მერობის კანდიდატების სხვადასხვა რეგიონში ჩატარებული დებატების სერია გადასცა ეთერში. წამყვანი არხების „იმედის“ და „რუსთავი 2“-ის მიერ მოწყობილ დებატებში ყველაზე პოპულარული პარტიების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა („იმედი“ – შვიდი პარტია და „რუსთავი 2“ – ხუთი პარტია). თუმცა საარჩევნო კოდექსი მაუწყებლებს ავალდებულებს დებატების მოწყობას ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მონაწილეობით. 9 ოქტომბერს „ეროვნულმა ფორუმმა“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში საჩივარი შეიტანა მას შემდეგ, რაც არ დაკმაყოფილდა მათი მოთხოვნა „იმედისა“ და „რუსთავი 2“-ზე გამართულ დებატებში მონაწილეობის შესახებ.

⁴² „საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის“, „იმედის“, „რუსთავი 2“-ის და „აჭარის ტელევიზიის“ შემთხვევაში მონიტორინგი ყოველდღიურად 18:00-დან 24:00-მდე პერიოდში ხორციელდება. „მაესტროს“, „ობიექტივის“, „პირველის“ (თბილისში მაუწყებელი არხები), ასევე „გურიას“, „გურჯაანის“, „ქვემო ქართლის“, „ოდიშის“, „რიონის“, „თრიალეთის“ და „ტვ-25“-ის (რეგიონული ტელეარხები) შემთხვევაში ხორციელდება ამ ტელეკომპანიების მთავარი საინფორმაციო პროგრამების მონიტორინგი. გარდა ამისა, ტარდება გაზეთების „რეზონანსი“ (ყოველდღიური გამოცემა), „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „ქრონიკა+“ და „კვირის პალიტრა“ (ყოველკვირეული გამოცემები) პოლიტიკური სტატიების მონიტორინგი. ამასთან ერთად, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია შემდეგი ონლაინ მედია საშუალებების - www.ipn.ge, www.netgazeti.ge, www.on.ge და www.tabula.ge - არჩევნებთან დაკავშირებული მასალების მონიტორინგს ახორციელებს.

⁴³ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ პოლიტიკური ახალი ამბების 22% - „ქართული ოცნების“, ხოლო 9% და 10% შესაბამისად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „ევროპული საქართველოს“ გაშუქებას დაუთმო. „ქართული ოცნების“ გაშუქება დაბალანსებული, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქების ტონი ნეიტრალური და ნეგატიური იყო. „ევროპული საქართველო“ ძირითადად ნეიტრალურ და დადებით ჭრილში იყო გაშუქებული. „აჭარის ტელევიზიამ“ ყველა საარჩევნო სუბიექტი პრაქტიკულად ნეიტრალურად გააშუქა მისი პოლიტიკური ახალი ამბების 18% „ქართულ ოცნებას“, 12% „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ და 6% „ევროპულ საქართველოს“ დაუთმო.

გარდა, „იმედზე“ გასული მრავალი სიუჟეტი ყოფილი პრემიერ-მინისტრის და გავლენიანი ბიზნესმენის ბიძინა ივანიშვილის საქმიანობას და პროექტებს წარმოაჩენდა. „ობიექტივი“ „პატრიოტთა ალიანსის“ მიმართ მხარდაჭერას ღიად გამოხატავდა.⁴⁴

ბეჭდურ მედიაში პლურალისტური მოსაზრებები იყო გამოთქმული და გაშუქება საკმაოდ დაბალანსებულად ხდებოდა. ონლაინ პორტალი netgazeti.ge-ი ასევე დაბალანსებულად აშუქებდა არჩევნებს. მეორეს მხრივ, ყველაზე პოპულარული ტაბლოიდი „ასავალ-დასავალი“ ხშირად ჭორებისა და ბრალდებების არენად გამოიყენებოდა. მისი ნარატივი აშკარად ანტიდასავლური მიდგომებით გამოირჩეოდა, რაც „პატრიოტთა ალიანსის“ პლატფორმას ემთხვეოდა.

საჩივრები და სარჩელები

საარჩევნო დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩო რთული და ზედმეტად შემზღვევითი. დაჩქარებული წესით მხოლოდ ცალკეული უფლებამოსილი მომჩივნის მიერ შემოტანილი გარკვეული კატეგორიის საჩივრები განიხილება; ამ შემთხვევაში, სარჩელების მიღება და განხილვა ერთ ან ორ დღეში ხორციელდება. უმეტეს შემთხვევაში სარჩელების შეტანა როგორც რეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტებს, ასევე აკრედიტებულ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს შეუძლიათ. ამომრჩევლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ სარჩელის შეტანა, თუ ისინი ამომრჩეველთა სიაში არ აღმოჩნდებიან. იმავე უფლებით სარგებლობენ არჩევნების დღეს საუბნო საარჩევნო კომისიებში ხმის მიცემის პროცედურებთან დაკავშირებით. მომჩივანთა კატეგორიების ამგვარი შეზღუდვა საერთაშორისო ვალდებულებებს და საერთაშორისო დონეზე მიღებულ პრაქტიკას ეწინააღმდეგება.⁴⁵ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა

⁴⁴ „რუსთავი 2“-ზე „ქართული ოცნების“ გაშუქებას 22% დაეთმო, გაშუქების ტონი ძირითადად ნეიტრალური და უარყოფითი იყო. 17% და 12% „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „ევროპული საქართველოს“ გაშუქებას დაეთმო, გაშუქების ტონი ძირითადად ნეიტრალური გახლდათ. მართალია „იმედის“ გაშუქების ტონი შედარებით დაბალანსებული იყო, მაგრამ რაოდენობის მხრივ „ქართული ოცნების“ გაშუქებას აშკარად მეტი დრო დაეთმო (35%), მაშინ როდესაც „ევროპული საქართველოს“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებას „იმედმა“ 12% და 7% დაუთმო. „ობიექტივის“ პოლიტიკურ ახალ ამბებში „პატრიოტთა ალიანსის“ გაშუქებამ 43% შეადგინა.

⁴⁵ 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.10-ე პუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გამოსწორების ეფექტური შესაძლებლობა ყველას უნდა გააჩნდეს. [ვენეციის კომისიის საარჩევნო საკითხებში რეკომენდებული პრაქტიკის კოდექსის](#) II.3.3.3.f-ე პუნქტის მიხედვით „კონკრეტულ საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ ყველა კანდიდატს და ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს სარჩელის შეტანის უფლება. არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით ამომრჩეველთა მიერ შემოტანილი საჩივრების რაოდენობა გონივრული ქვორუმით შეიძლება დარეგულირდეს.“

ვადების დარღვევით, ან არაუფლებამოსილი პირების მიერ წარდგენილი საჩივრის გამო საჩივრების მიღებაზე უარის თქმის რამდენიმე შემთხვევა დააფიქსირეს.⁴⁶

20 ოქტომბრის მონაცემებით, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში შედარებით მცირე რაოდენობის საჩივარი შევიდა. მათი უმეტესობა წინასაარჩევნო კამპანიის რეგულაციების დარღვევებს და საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობას ეხებოდა⁴⁷. ცესკოს სხდომებზე მხოლოდ ოთხი საჩივარი განიხილეს.⁴⁸ ცესკოს სამი გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოში გასაჩივრდა; სამივე შემთხვევაში სასამართლომ ცესკოს გადაწყვეტილებები ძალაში დატოვა. ცესკოს სხდომებზე საჩივრების განხილვა ღიად, სხდომაზე დამსწრეთა აქტიური მონაწილეობით და კანონის ყველა შესაბამისი ნორმის დაცვით ხორციელდებოდა. საოლქო სასამართლოებმა არჩევნებთან დაკავშირებული რამდენიმე საქმე განიხილეს; მართალია, ზოგადად ამ სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კარგად იყო დასაბუთებული, მაგრამ ზოგჯერ მათი გადაწყვეტილებები კანონის თანმიმდევრულად აღსრულების პრინციპს არ აკმაყოფილებდა.⁴⁹

საარჩევნო კოდექსის მიხედვით ცესკოს თავმჯდომარეს, საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილ წევრს (როგორც წესი, თავმჯდომარეს), საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს ადმინისტრაციული ოქმების შედგენა შეუძლიათ, რითაც საარჩევნო დარღვევებისთვის სანქციების გამოყენება შეიძლება იქნას მოთხოვნილი; ამის შემდეგ, ამგვარი სანქციების გამოყენება სასამართლოების გადასაწყვეტია. ცესკოს (ან სხვა ორგანოს) განკარგულებები, რომლითაც ამგვარი სანქციების გამოყენებაზე უარს ეუბნებიან, გასაჩივრებას არ ექვემდებარება, რაც ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს და საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგება.⁵⁰

⁴⁶ რამდენიმე დაინტერესებულმა მხარემ (მათ შორის სასამართლოებმა) ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობეს, რომ საჩივრების განხილვისთვის დაწესებული ვადები საქმეების ადეკვატურად განხილვისთვის საკმარისი არ არის.

⁴⁷ ცესკოს საჩივრების ონლაინ რეესტრის მიხედვით, დაახლოებით 140 საჩივარი საოლქო საარჩევნო კომისიებში, ცესკოში და რაიონულ სასამართლოებში შევიდა, აქედან 20 - ცესკოში.

⁴⁸ ცესკოს მიერ მიღებული საჩივრების უმრავლესობა ცესკოს თავმჯდომარემ განიხილა.

⁴⁹ მაშინ, როდესაც საარჩევნო კოდექსი გარკვეული დარღვევებისთვის მხოლოდ ჯარიმებს ითვალისწინებს, სასამართლოებმა რამდენიმე შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი დებულებებით იხელმძღვანელეს და გაფრთხილებები გამოსცეს.

⁵⁰ [1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის](#) 5.10-ე პუნქტის მიხედვით ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გამოსწორების ეფექტური შესაძლებლობა ყველას უნდა გააჩნდეს, რათა ფუნდამენტური უფლებების და კანონის დაცვა იყოს გარანტირებული. [ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის](#) მე-6 მუხლის თანახმად სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ყველას აქვს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ მისი საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება.

კანონი არ ითვალისწინებს ისეთი საჩივრების დაჩქარებული წესით განხილვის შესაძლებლობას, რომლითაც ადმინისტრაციული სანქციების გამოყენება არის მოთხოვნილი. შედეგად, ზოგიერთი ასეთი საჩივარი რამოდენიმე კვირის განმავლობაში განიხილებოდა ან ფაქტობრივად განუხილველი რჩებოდა, რამაც საჩივრების განხილვის პროცესის ეფექტურობა მნიშვნელოვნად შეამცირა.

20 ოქტომბრის მონაცემებით, პროკურატურამ არჩევნებთან დაკავშირებული დარღვევების შესახებ მიღებული ცნობების (მათ შორის, 12 საქმე სახელმწიფო თანამდებობის ბოროტად გამოყენების სავარაუდო ფაქტებს, 8 საქმე ძალადობის სავარაუდო ფაქტებს და 2 საქმე სავარაუდო მუქარებს ეხებოდა) საფუძველზე 36 სისხლის სამართლის საქმე აღძრა. კანონის შესაბამისად, უწყებათაშორისი კომისია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის, რომლის თავმჯდომარე იუსტიციის მინისტრია, ივლისში შეიქმნა. მისი მანდატი საარჩევნო დარღვევების „პრევენციას და მათზე რეაგირებას“ გულისხმობს. უწყებათაშორისმა კომისიამ წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვასთან დაკავშირებით შვიდი არასავალდებულო რეკომენდაცია გამოსცა. მართალია, უწყებათაშორისი კომისიის მუშაობამ ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფების მხრიდან მოწონება დაიმსახურა და ამ ჯგუფებს არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების და ბრალდებების საჯაროდ განხილვის შესაძლებლობა მისცა, საარჩევნო სუბიექტებს შორის ამ ორგანოს მანდატთან დაკავშირებით ზოგადი გაურკვეველობა შეიმჩნეოდა.

ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

საარჩევნო კოდექსი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს არჩევნების მთლიან პროცესზე დაკვირვების შესაძლებლობას აძლევს. საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები იგივე უფლებებით სარგებლობენ. დამკვირვებლების და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების აკრედიტაცია მხარეთა ჩართულობით მოხდა. ცესკომ 71 ადგილობრივ (19,941 დამკვირვებელი) და 30 საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციას (581 დამკვირვებელი) აკრედიტაცია მიანიჭა; აკრედიტაცია ასევე 82 მედია საშუალების წარმომადგენელმა 4,612-მა ჟურნალისტმა მიიღო. გარდა ამისა, საოლქო საარჩევნო კომისიებმა ოლქების დონეზე ადგილობრივი დამკვირვებლები, ასევე პარტიებისა და მედიის წარმომადგენლები დაარეგისტრირეს.

არაერთი ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია ხანგრძლივი დროის განმავლობაში აკვირდებოდა კამპანიას და არჩევნების დღეს მოკლევადიანი დამკვირვებლები წარმოადგინა, რამაც არჩევნების გამჭვირვალობას შეუწყო ხელი. თუმცა, კანონით ადგილობრივ დამკვირვებლებს საარჩევნო კომისიების სხდომებზე დაკვირვების უფლება მხოლოდ საარჩევნო პერიოდის განმავლობაში ჰქონდათ. არჩევნების

დღეს, სამოქალაქო საზოგადოების რამდენიმე ორგანიზაციამ მედია ცენტრი გახსნა და ერთობლივი განცხადებები გამოაქვეყნა.⁵¹ ორმა ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ ხმების პარალელური დათვლა განახორციელა.⁵²

ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა

ეროვნული უმცირესობები მოსახლეობის 13.2%-ს შეადგენენ. ეთნიკურ უმცირესობებში ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფებია აზერბაიჯანელები (6.3%) და სომხები (4.5%).⁵³ კონსტიტუციით ეთნიკური უმცირესობები სრულფასოვანი პოლიტიკური უფლებებით, მათ შორის, საკუთარი მშობლიური ენის კერძოდ და საჯაროდ გამოყენების უფლებით სარგებლობენ. კონსტიტუცია ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი ან რელიგიური მოტივებით დისკრიმინაციას და ასევე ისეთი პოლიტიკური პარტიების შექმნას კრძალავს, რომლებიც ეთნიკურ შუღლს აღვივებენ და/ან ტერიტორიული პრინციპით იქმნებიან.

ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი პირები ყველა ძირითადად პოლიტიკურმა პარტიამ და ბლოკმა წამოაყენა. გარდა ამისა, ამ რეგიონებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები დამოუკიდებლად იყრიდნენ კენჭს; თუმცა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი კანდიდატები თბილისში და სხვა ქალაქებში, სადაც ეროვნული უმცირესობები ცხოვრობენ, ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი.⁵⁴ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი კანდიდატების მთლიანი პროცენტული შემადგენლობა შესაბამისი ეროვნული უმცირესობის პროცენტულ რაოდენობაზე კვლავ დაბალი იყო. მერობის კანდიდატად ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელმა სულ ოცმა (5.4%) კანდიდატმა, მაჟორიტარობის სულ 388 (8.2%) კანდიდატმა და საკრებულოების პროპორციულ სიებში შეტანილმა სულ 827 (6.7%) კანდიდატმა, აქედან 52 (5.3%) კანდიდატმა თბილისის საკრებულოს არჩევნებში მიიღო მონაწილეობა.⁵⁵ ეროვნული

⁵¹ მათ შორის იყვნენ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“.

⁵² „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ ხმების პარალელური დათვლის შედეგები 1050 დამკვირვებლის მონიტორინგს დაქვემდებარებული ყველა საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნებიდან მიღებულ მონაცემებს ეყრდნობოდა. „მრავალეროვანმა საქართველომ“ ხმების პარალელური დათვლა ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში განახორციელა.

⁵³ რუსები 0.7%, ოსები 0.4%, იეზიდები 0.3%, უკრაინელები 0.2%, ქისტები 0.2%, ბერძნები 0.1%, ასირიელები 0.1%) და სხვა ჯგუფები 0.4%.

⁵⁴ ახალქალაქსა და ნინოწმინდაში თითქმის ყველა მერობის კანდიდატი ეთნიკური სომეხია. თუმცა ახალციხეში არცერთი ეთნიკური სომეხი მერობის კანდიდატი არჩევნებში არ მონაწილეობს. მარნეულში რამდენიმე მერობის კანდიდატი ეთნიკური აზერბაიჯანელია, გარდაბანში მხოლოდ ორი ეთნიკური აზერბაიჯანელი მერობის კანდიდატია, ხოლო დანარჩენ რაიონებში არცერთი ეთნიკური აზერბაიჯანელი მერობის კანდიდატი არ არის რეგისტრირებული.

⁵⁵ ეს გამოთვლები ცესკოს მიერ 10 ოქტომბერს კანდიდატებთან დაკავშირებით გამოცემულ მონაცემებს ეყრდნობა.

უმცირესობების წარმომადგენელი კანდიდატების დაახლოებით 24%-ს ქალები შეადგენდნენ.

მართალია, წინასაარჩევნო კამპანიაში ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები მთავარ თემას არ წარმოადგენდა, მაგრამ ეთნიკური წარმომავლობა დროდადრო მაინც ხდებოდა მობილიზების ან პოლარიზების საბაზი.⁵⁶ დაფიქსირდა სიძულვილის ენის, მუქარის და დამაბულობის რამდენიმე შემთხვევა.⁵⁷ კანდიდატებს თავისუფლად შეეძლოთ წინასაარჩევნო კამპანიის ეროვნული უმცირესობების ენებზე წარმართვა. ეროვნული უმცირესობები შედარებით მრავლად იყვნენ წარმოდგენილი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში ეთნიკური სომხებით დასახლებულ რაიონებში. რაც შეეხება ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონებს, საოლქო საარჩევნო კომისიებში აზერბაიჯანელები არ იყვნენ წარმოდგენილი, მაგრამ საუბნო საარჩევნო კომისიებში მათი წარმომადგენლობა ადეკვატური იყო (თუმცა როგორც წესი, ისინი მამაკაცები იყვნენ).

საარჩევნო კოდექსი ამომრჩეველთა სიების, ბიულეტენების და შედეგების ოქმების ეროვნული უმცირესობების ენებზე თარგმნას ითვალისწინებს. ცესკოს ეროვნული უმცირესობების საკითხებზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი ჰყავს. გარდა ამისა, ცესკომ ამომრჩეველთა განათლებისა და ინფორმირებისთვის გამიზნული მასალები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე გამოსცა. უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში განლაგებული 345 საარჩევნო უბნის პერსონალისთვის ტრენინგები ჩატარდა და მასალები

⁵⁶ 18 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც მარნეულში „ქართული ოცნების“ ეთნიკურად ქართველი მერობის კანდიდატი ეთნიკურად აზერბაიჯანელი კანდიდატით შეიცვალა, ყოფილი კანდიდატის მხარდამჭერებმა თბილისში „ქართული ოცნების“ სათავე ოფისთან საპროტესტო აქცია გამართეს. ამის შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ პროპორციული სია წარმოადგინა, რომელშიც პირველ 12 ადგილს ეთნიკური ქართველები იკავებდნენ, მათ ეთნიკური აზერბაიჯანელები მოჰყვებოდნენ, რის შედეგადაც მათი საკრებულოში მოხვედრის შანსი უფრო ნაკლები იყო. 24 სექტემბერს ბათუმში გამართული მიტინგის დროს „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერებმა მწვავე ანტი-თურქულ რიტორიკას მიმართეს. „დემოკრატიული მოძრაობა - თავისუფალი საქართველოს“ ორი წინასაარჩევნო რგოლი, რომლებიც სხვადასხვა ტელეარხზე, მათ შორის, საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადაიდა, იმიგრანტების საწინააღმდეგო და ისლამოფობიურ გზავნილებს შეიცავდა.

⁵⁷ 2 სექტემბერს „პატრიოტთა ალიანსის“ მერობის კანდიდატი ახალქალაქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დაემუქრა. 25 სექტემბერს „გაერთიანებულმა დემოკრატიულმა მოძრაობამ“ განაცხადა, რომ ახალქალაქში მისი მერობის კანდიდატზე არჩევნებიდან კანდიდატურის მოხსნის მიზნით ზეწოლა ხორციელდებოდა. ასევე იხილეთ „კანდიდატების რეგისტრაციის“ ქვეთავი. პროცესში მონაწილე მხარეებმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას პროცესში ჩართულმა მხარეებმა აცნობეს, რომ დმანისის საარჩევნო ოლქის სოფელ ირგანჩაის რამდენიმე მაცხოვრებელზე „ქართული ოცნების“ მხრიდან ზეწოლა განხორციელდა, კერძოდ, მათ სთხოვეს ყურანზე დაეფიცათ, რომ არჩევნებში ხმას „ქართულ ოცნებას“ მისცემდნენ. უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნულ ინციდენტს შესაბამისი ორგანოები იძიებენ.

ზემოთხსენებულ ენებზე მიაწოდეს.⁵⁸ გარდა ამისა, ცესკოში ეროვნული უმცირესობების ენებზე სამენოვანი ცხელი ხაზი მოქმედებდა.

არჩევნების დღე

კენჭისყრის დღემ ძირითადად მოწესრიგებულად ჩაიარა. კანდიდატების წარმომადგენლების და ადგილობრივი დამკვირვებლების ადგილზე ყოფნამ პროცესის გამჭვირვალობას შეუწყო ხელი. თუმცა მთელი დღის განმავლობაში საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები მედიის წარმომადგენლებად, ან ადგილობრივ დამკვირვებლებად რეგისტრირებულ ზოგიერთ პირს აფიქსირებდნენ, რომლებიც სხვადასხვა პარტიებთან, ან კანდიდატებთან იყვნენ დაკავშირებული და ზოგჯერ არჩევნების პროცესშიც ერეოდნენ. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა სამ მეოთხედს ისევე, როგორც ამ კომისიების თავმჯდომარეთა 65%-ს, ქალები შეადგენდნენ.

საარჩევნო უბნები დროულად გაიხსნა, თუმცა რამდენიმე შემთხვევაში მცირე დაყოვნებას ჰქონდა ადგილი. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა გახსნის პროცედურები მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 75-დან 73-ში დადებითად შეაფასეს. მათი აზრით, აღნიშნული პროცესი მოწესრიგებულად ჩატარდა და პროცედურები ძირითადად დაცული იყო.

მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 97%-ში ხმის მიცემის პროცესი კარგად ან ძალიან კარგად შეფასდა. პროცედურები ძირითადად გათვალისწინებული იყო. საარჩევნო უბნების 36%-ში პოლიტიკურ პარტიებს და კანდიდატებს დასაშვებზე მეტი წარმომადგენლები ჰყავდათ, ჩვეულებრივ ისინი ადგილობრივ დამკვირვებლებად იყვნენ აკრედიტებული.⁵⁹ დაკვირვებას დაქვემდებარებულ საარჩევნო უბნების 5.4%-ში ისინი საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობაში ერეოდნენ ან მათ მუშაობას წარმართავდნენ.

ხმების ჯგუფურად მიცემის შემთხვევები საარჩევნო უბნების 2.4%-ში დაფიქსირდა. ასეთ შემთხვევებს უფრო ხშირად რაიონებში ჰქონდა ადგილი, ვიდრე ქალაქებში. მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 12%-ში ამომრჩევლებს ხმის

⁵⁸ ეროვნული უმცირესობებით ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ 12 საარჩევნო ოლქში 208 შერეული ქართულ-აზერბაიჯანული საუბნო საარჩევნო კომისია, 133 შერეული ქართულ-სომხური საუბნო საარჩევნო კომისია და 4 შერეული ქართულ-აზერბაიჯანულ-სომხური საუბნო საარჩევნო კომისია შეიქმნა.

⁵⁹ მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 21%-ში უბნებზე „ქართული ოცნების“ ერთზე მეტი დამკვირვებელი იმყოფებოდა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთზე მეტი დამკვირვებელი უბნების 9%-ში, „ევროპული საქართველოს“ ერთზე მეტი დამკვირვებელი უბნების 8%-ში, „პატრიოტთა ალიანსის“ და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ უბნების 4-4%-ში, ხოლო დამოუკიდებელი კანდიდატების ერთზე მეტი წარმომადგენლები უბნების 1.2%-ში იყვნენ დაფიქსირებული.

მიცემის უფლება არ მისცეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის არქონის ან კონკრეტულ საარჩევნო უბანზე ამ პირების ამომრჩეველთა სიებში არყოფნის გამო.

მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 4%-ში საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა უბნების გარეთ პრობლემები დააფიქსირეს. ზოგიერთ შემთხვევაში საარჩევნო უბნების მახლობლად მყოფი ადამიანების ჯგუფები, როგორც ჩანს, ამომრჩევლებზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობდნენ (მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 2%) და უბნებზე მოსული ამომრჩევლების აღრიცხვას ახდენდნენ. ხმის მისაცემად მოსული ამომრჩევლების აღრიცხვას საარჩევნო უბნების შიგნით უფლებამოსილი პირებიც ახდენდნენ. ცესკოს მიერ გამოცემული პრეს-რელიზის მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისიები ვალდებული არიან კანდიდატების წარმომადგენლებს და ადგილობრივ დამკვირვებლებს ეს მონაცემები მიაწოდონ, რადგან ეს საჯარო ინფორმაციად ითვლება. აღნიშნული განცხადების გამო სახალხო დამცველმა და ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფებმა შეშფოთება გამოხატეს.⁶⁰

მართალია, ხელისუფლებამ გარკვეული რაოდენობის ადაპტირებული საარჩევნო უბანი მოაწყო, მაგრამ საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების ინფორმაციით საარჩევნო უბნების 63%-ში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს დამოუკიდებლად შესვლა არ შეუძლიათ.

ხმის დათვლის პროცესი მონიტორინგს დაქვემდებარებული 71 საარჩევნო უბნიდან 11-ში უარყოფითად შეფასდა. უარყოფითი შეფასებები ძირითადად საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ პროცედურების დარღვევას, ან პროცესში გარეშე პირების ჩარევას უკავშირდებოდა. არაუფლებამოსილი პირები ხმის დათვლის პროცესში მონიტორინგს დაქვემდებარებულ 10 საარჩევნო უბანზე იღებდნენ მონაწილეობას. რამდენიმე შემთხვევაში საარჩევნო უბნებთან დამაბულობის ან დაპირისპირების ფაქტები და ასევე, ერთი პირის მიერ ხმის პროცესის ჩაშლის მცდელობა დაფიქსირდა. სერიოზული დარღვევები, რომლებმაც უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ხმის დათვლის პროცესის მთლიანობის და გამჭვირვალობის შეფასებაზე, მოიცავდნენ საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ შედეგების ოქმების შევსებამდე ხელმოწერას (მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნებიდან 11-ში), საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ შედეგების ოქმების შედგენისას პრობლემებს (მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნებიდან 13-

⁶⁰ [ვენეციის კომისიის საარჩევნო საკითხებში რეკომენდებული პრაქტიკის კოდექსის](#) I.4.c-ე თავთან დაკავშირებული განმარტებითი ბარათის 4.54-ე განყოფილების მიხედვით: „რადგან ხმის მიცემისგან თავის შეკავება პოლიტიკურ არჩევანს შეიძლება ნიშნავდეს, ხმის მიცემის პროცესში მონაწილე პირების სიები არ უნდა იყოს გამოქვეყნებული.“ თუმცა, არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა სიების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული [განმარტებითი განცხადების](#) მიხედვით: „იმ ამომრჩეველთა სიები, რომლებმაც არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა, შეიძლება გადაეცეს არჩევნებში დაინტერესებულ გარკვეულ მხარეებს.“

ში) და საუბნო საარჩევნო კომისიების უკვე შედგენილი ოქმების გადახედვის ფაქტებს (მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნებიდან 9-ში). მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების დაახლოებით მეოთხედში საუბნო საარჩევნო კომისიებმა ოქმების ასლები არ გამოაკრეს, იმის მიუხედავად, რომ ამას მათ კანონი ავალდებულებს. თუმცა, საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებს არჩევნების შედეგების გაყალბების შეგნებული მცდელობები არ შეუნიშნავთ.

ხმების შეჯამების პროცესი, ერთის გარდა, ყველა საოლქო საარჩევნო კომისიაში დადებითად შეფასდა (სულ დაკვირვება 61 საოლქო საარჩევნო კომისიაში განხორციელდა). საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებს საოლქო საარჩევნო კომისიების მუშაობაში რაიმე მნიშვნელოვანი პროცედურული შეცდომები ან დარღვევები არ შეუნიშნავთ. იმის მიუხედავად, რომ საარჩევნო მასალების მიღების და საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების დამუშავების პროცესი ზოგადად გამჭვირვალე იყო, მონიტორინგს დაქვემდებარებულ 10 საოლქო საარჩევნო კომისიაში პროცესი ყოველთვის თვალსაჩინო და ღია არ ყოფილა. ეს ძირითადად არასათანადო პირობებით (მონიტორინგს დაქვემდებარებული 61 საოლქო საარჩევნო კომისიიდან 11-ში) იყო გამოწვეული, მათ შორის, 5 საოლქო საარჩევნო კომისიაში ხალხმრავლობა აღინიშნა. 6 საოლქო საარჩევნო კომისიაში დამაბულობის და დაპირისპირების შემთხვევები დაფიქსირდა, ხოლო 1 საოლქო საარჩევნო კომისიაში პროცესის ჩაშლის მცდელობას ჰქონდა ადგილი, რამაც უარყოფითი შეფასება გამოიწვია.

ცესკოს მონაცემებით საოლქო საარჩევნო კომისიებში 204 საჩივარი შევიდა, რომლებიც საარჩევნო უბნებზე პროცედურულ დარღვევებს ეხებოდა. აღნიშნული სარჩელებით ძირითადად იმ კომისიის წევრების წინააღმდეგ დისციპლინარული სანქციების გამოყენება მოითხოვეს, რომლებმაც სავარაუდოდ პროცედურული დარღვევები ჩაიდინეს. წინასწარი მონაცემებით, არჩევნებზე აქტივობის მაჩვენებელმა 45.6% შეადგინა.

*წინამდებარე ანგარიშის ინგლისური ვერსია ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტია.
ანგარიშის არაოფიციალური თარგმანი ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე.*

ინფორმაცია მისიის შესახებ & სამადლობელი სიტყვა

2017 წლის 22 ოქტომბერი, თბილისი – წინამდებარე მოხსენება წინასწარი მიგნებების და დასკვნების შესახებ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) და ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ

ხელისუფლებათა კონგრესის ერთობლივი პროექტია. არჩევნების შეფასების მიზანს წარმოადგენდა ეუთოს ვალდებულებებსა და ევროპის საბჭოს სტანდარტებთან, ასევე დემოკრატიული არჩევნებისთვის დადგენილ სხვა საერთაშორისო სტანდარტებსა და ვალდებულებებთან, ასევე ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას, რომელიც 13 სექტემბერს გაიხსნა, კორინ იონკერი ხელმძღვანელობს. კონგრესის არჩევნების შემფასებელმა მისიამ ქვეყანაში 20-დან 22 ოქტომბრამდე იმუშავა.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიაში (IEOM) ჩართული ორივე ინსტიტუტი მხარს უჭერს არჩევნებზე დაკვირვების საერთაშორისო პრინციპების 2005 წლის დეკლარაციას. წინამდებარე დოკუმენტი წინასწარი მიგნებების და დასკვნების შესახებ საარჩევნო პროცესის დასრულებამდე ქვეყნდება. არჩევნების საბოლოო შეფასება დამოკიდებული იქნება, ნაწილობრივ, საარჩევნო პროცესის დარჩენილი ეტაპების ჩატარებაზე, მათ შორის, ხმების დათვლის, გადათვლისა და შედეგების გამოცხადების, ასევე, სავარაუდოდ, არჩევნების დღის შემდეგ შემოსული საჩივრებისა და სარჩელების განხილვაზე. საარჩევნო პროცესის დასრულებიდან დაახლოებით რვა კვირის შემდეგ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი გამოაქვეყნებს ყოვლისმომცველ საბოლოო ანგარიშს, რომელშიც წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები საარჩევნო პროცესის გასაუმჯობესებლად. კონგრესი ინფორმაციული ხასიათის ანგარიშს 2018 წლის მარტში 34-ე სესიაზე წარადგენს.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია დედაქალაქში წარმოდგენილი 16 ექსპერტისა და ქვეყნის მასშტაბით გადანაწილებული 22 გრძელვადიანი დამკვირვებლისგან შედგება. არჩევნების დღეს 30 ქვეყნის წარმომადგენელი 196 დამკვირვებელი, მათ შორის, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის 189 გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებელი და ასევე, კონგრესის 7-წევრიანი დელეგაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით გადანაწილდა. უბნების გახსნას 77, ხოლო ხმის მიცემის პროცესს 758 საარჩევნო უბანზე მთელი ქვეყნის მასშტაბით დააკვირდნენ. ხმების დათვლას 71 საარჩევნო უბანზე, ხოლო ხმების გადათვლას 61 საოლქო საარჩევნო უბანზე დააკვირდნენ.

სადამკვირვებლო მისიის წევრებს სურთ მადლობა გადაუხადონ საქართველოს ხელისუფლებას არჩევნებზე დამკვირვებლად მოწვევისთვის, ასევე ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და საგარეო საქმეთა სამინისტროს გაწეული დახმარებისთვის. მისია ასევე თანამშრომლობისთვის ღრმა პატივისცემას გამოხატავს სხვა სახელმწიფო

ინსტიტუტების, პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლების მიმართ.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

- OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს, ქალბატონ კორინ იონკერს, თბილისში (+995 591 040 722);
- OSCE/ODIHR-ის წარმომადგენელს ტომას რაიმერს (+48 609 522 266) ან OSCE/ODIHR-ის მრჩეველს საარჩევნო საკითხებში ოლექსი ლიჩკოვას, ვარშავაში (+48 601 820 410);
- ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის კომუნიკაციის, საერთაშორისო ურთიერთობების და არჩევნებზე დაკვირვების განყოფილების უფროსს რენატე ზიკმუნდს, სტრასბურგში (+37 659 786 455).

OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მისამართი:

ვერცხლის ქ. #1, 0105 თბილისი

ტელ: +995 322 995 995

ელ-ფოსტა: office@odihr.ge

ვებგვერდი: <http://www.osce.org/odihr/elections/georgia/339371>